სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-199

ქ. თბილისი

20.02.2015

პროგრამის - "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში ბაკალავრიატის სტუდენტთა სახელმწიფო სტიპენდიით დაფინანსების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 9 თებერვლის №82 ბრძანების "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" №03-529 ბრძანების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის სამსახურებრივი ბარათის (რეგისტრ. №03-5709/15 20.02.2015 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. პროგრამის - "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" - ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული თანხიდან, 2015 წლის იანვრის და თებერვლის თვეების სახელმწიფო სტიპენდიით დაფინანსდნენ ამ ბრძანების დანართში მითითებული სტუდენტები, თითოეული თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს (სოფიო გაჩეჩილაძე);

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების ასლები, დანართის თანხლებით, მიაწოდოს აღრიცხვა-ანგარიშის და საფინანსო დეპარტამენტებს, ფაკულტეტებს/სკოლებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს (უფროსის მოადგილეს - ირინა ბაზღაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

4. ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს ეთხოვოს ბრძანების დანართში აღნიშნული სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე